პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 183 (19025) ხუთშაბათი, 9 აგვისტო, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

აგვისტო გადამწყვეტი თვეა

მეჩაიეობის რაიონებში კვლავ დაძაბული შრომაა გაჩაღებული ხარისხოვანი ფოთლის აგვისტოს გეგმა-ვალდებულების შესასრულებლად. ეს საწინდარია იმ წლიური გადიდებული ვალდებულების შესრულებისა, რომელიც 560.000 ტონა ჩაის ფოთლის უთუო დამზადებასა და გადამუშავებას ითვალისწინებს. მართალია, ამინდი კვლავ ჰორვეულობს, მაგრამ მას შეუპოვარი, მოუღლელი გარჯა უნდა დაუპირისპიროთ, ვკრიფოთ ჩაის ფოთოლი დაშნიაც და ავდარშიაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდია. ამაზე მიგვანიშნებს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები. მაგალითად, მარშან 7 აგვისტოს რესპუბლიკაში დამზადდა 4.273 ტონა ხარისხოვანი ნედლეული, წლეულს 7 აგვისტოს ერთო ნაკლები — 3.827 ტონა.

წლეულს აგვისტოს 7 დღეში შარშანდელ შესადარ პერიოდთან მოკრეფილია 3,232 ტონით მეტი.

რესპუბლიკაში სეზონის დაწყებიდან 8 აგვისტომდე სულ დამზადებულია 377.243 ტონა ნედლეული ანუ 1983 წლის 8 აგვისტოსთან შედარებით 10.37? ტონით მეტი. მახარაძის რაიონში ამ ხნის განმავლობაში მოიკრიფა 69.648 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში —48.839; გალში —33.404, ქობულეთში— 30.768, ოზურგეთში — 27.931, წალენჯიხაში — 22.163, ლანჩხუთში—20.562, ჩხოროწყუში — 19.366, ხელვაჩაურში — 16.842, მარტვილში — 16.832, ჩოხატაურში — 11.552, ცხაკაიაში —9.495, წყალტუბოს ზონაში — 9.121, ტყიბულის ზონაში— 8.01?, ხობის რაიონში — 8.175, წულუკიძეში — 7.370, გეგეჭკორში — 6.093, სამტრედიაში — 2.499, ვანის რაიონში — 2.220, თერჯოლაში — 1.497, ქუთაისის ზონაში — 1.09?, აბაშაში — 1.077, ... — 938, ... — 592 და ... — 559 ტონა.

... რაიონების ... — ქობულეთის, წალენჯიხის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გალის — მეჩაიეები მისასალმებელია, რომ თანდათანობით ძლევენ შარშანდელთან სხვაობას. მაგრამ მათ კვლავაც მართებთ მეტი მონდომება და დაძაბული შრომა არა თუ თავი დაალწიონ ჩამორჩენას, არამედ მალე გაუსწრონ კიდევაც შარშანდელ დონეს.

560.000 ტონა ჩაისათვის

რთველამდე და სართველოდ

კახეთის, იმერეთისა და სხვა რეგიონების ზვრებში ისე ასხია ვაზს, რომ აგ თვალს არ შეეხედება. სიუხვე თავისით არ მოსულა; ვაზის სიყვარულმა, დღენიადაგ საგულდაგულო შრომამ შარშან და შარშანწინ ნახეტვი ვენახები აალორძინა და იმდენი ყურძენი მოასხმევინა, რომ საშუალება გვეძლევა წლევანდელმა მოსავალმა მნიშვნელოვნად დაფაროს დანაკლისი, რომელიც მეთერთმეტე ხუთწლედის წინა წლებში განიცადა ჩვენმა მევენახეობამ. ახლა მთავარია, მოწეული მოსავალი უკლებლივ დავაბინაოთ მარნებში.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ კრებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ რესპუბლიკაში წლევანდელი სასოფლო-სამეურნეო წელი ხასიათდებოდა რთული ამინდის პირობებით. გაზაფხულის დამდეგს ხშირმა წვიმებმა ვაზის დაავადებათა გავრცელების საფრთხე შექმნა. უხვი ნალექები ართულებდა დადგენილ ვადებში შესრულებინათ საჭირო სამუშაოები, მაგრამ ჩვენმა მევენახეებმა, სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა ყველაფერი იღონეს ვაზის გადასარჩენად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგროსამრეწველო გაერთიანებათა სამსახურის მუშაკთა ენერგიული მეცადინეობა, რომლებმაც გზა გადაუღობეს ვაზის დაავადებებს და მავნებლებს. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა ვენახების მოვლის ორთვიური კარგი და სასარგებლო საქმე გააკეთა. ყველაფერი საერთო კონტროლს იყო დაქვემდებარებული. მეურნეობებმა დროზე მიიღეს საჭირო რაოდენობის სასუქები, შხამქიმიკატები და ჰერბიციდები, ტექნიკა, საწვავსაპოხი მასალები. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე. მეტ წილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გავრცელდა შრომის ორგანიზაციის მოწინავე — ხანარდო ბრიგადული მეთოდები. არ შეიძლება არ აღინიშნოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის, გაზეთების „კომუნისტისა" და „სოფლის ცხოვრების", ტელევიზიის ერთობლივი რეიდები, რომლებიც ორჯერ მოეწყო რესპუბლიკაში.

ივლისის შუა რიცხვებში მოეწყო ვენახების დათვალიერება, რომელმაც მოიცვა რესპუბლიკის 40-ზე მეტი რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობის ზვრები. დათვალიერებამ აშკარად გვიჩვენა, რომ გაიზარდა იმათი პასუხისმგებლობის დონე, ვისზეც დამოკიდებულია მოსავლის ბედი. დათვალიერებებზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გურჯაანის, ახმეტის, წითელწყაროს, ყვარლის, ზესტაფონის, თერჯოლის, ვანის და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ზვრებმა. ამ და სხვა რაიონებში ყურძნის უხვი მოსავალია მოყვანილი. ეს კი იმის მტკიცე გარანტიას იძლევა, რომ მევენახეთა წლევანდელი ვალდებულება — სახელმწიფოს მიჰყიდონ 760 ათას ტონაზე მეტი ყურძენი — გადამეტებით შესრულდება.

მიუხედავად დიდი შრომისა და ხარიანობის გამოჩენისა, ზოგიერთ საზოგადოებრივი მეურნეობის ზვრებში თავი იჩინა ნაკლოვანებებმა. კახეთის, იმერეთის, ქართლის რეგიონების ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ზოგიერთ ბრიგადაში ვერა და ვერ მოსპეს სარეველები, ვაზს აგროვადებში ვერ წამლობდნენ, დაგვიანებით შეასრულეს მწვანე სამუშაოები, გაფურჩვნა, ვერც დაავადებათა საწინააღმდეგო ეფექტიანი ღონისძიებანი განახორციელეს დროზე. ყოველივე ამან ზოგან მოსავლიანობა საგრძნობლად შეამცირა.

რთველი, რომ იტყვიან, კარს მოგვადგა. რთველამდე დარჩენილ დროში, სართველო სამზადისის გარდა, მევენახეებს ახალი საზრუნავი გაუჩინა გვალვამ. კახეთის რეგიონის ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობის ზვრები სარწყავშია. კვლავ დიდი მუშაობა მოუწევთ გვალვის ზონაში მოხვედრილ მევენახეებს, სპეციალისტებს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებს. რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა დროულად განახორციელეს ქმედითი ღონისძიებანი. გარდა ამისა, კახეთის რეგიონის ყველა რაიონში მოქმედებს „კომუნისტის" საგუშაგო. საგუშაგოს ოპერატიული მასალები რეგულარულად იბეჭდება გაზეთის ფურცლებზე.

ამ და სხვა ღონისძიებებმა მეზვრეებს საშუალება მისცა აქტიურად შებრძოლებოდნენ გვალვას, რწყვაზე ქუდზე კაცი გამოვიდა. ყოველი წვეთი წყალი კონტროლზეა, მიზნობრივად იხარჯება. ზემო და ქვემო ალაზნის არხები, სატუმბავი სადგურები, წყალსაცავები მელიორაციის მუშაკები, ყველა მელიორატორი ენერგიის დაუშურებლად მუშაობენ, რომ მაქსიმალურად შეინარჩუნონ ყურძნის მოსავალი.

ცნობილია, რომ გვალვა ვაზისა და ნაყოფის დაავადების მტერიც არის. ამ დროს შეიძლება გავრცელდეს ყურძნის ჭია და სხვა დაავადება. ამოცანა ის არის, რომ არც ერთ ვენახში დაავადებას არ მივცეთ გავრცელების საშუალება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ კრებაზე, რომელმაც ვენახების დათვალიერების შედეგები განიხილა, მკაცრად გააფრთხილეს მევენახეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, ბრიგადირები, მერგოლურები, ყველა მევენახე, რომ ვინც დროულად და ენერგიულად არ იმოქმედებს მავნების დაავადების გავრცელების აღსაკვეთად, მკაცრად დაისჯება როგორც ვაზის მტერი. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ვაზისათვის განსაკუთრებით დიდი მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ, არ მივაკაროთ დაავადება, მოწეული მოსავალი მთლიანად შევინარჩუნოთ.

კრებაზე მკაცრად გააფრთხილეს, რომ სარწყავ ვენახებში წყალი მაქსიმალური ეფექტით უნდა გამოვიყენოთ, სადაც კი მორწყვა შეიძლება, უთუოდ უნდა მოვრწყათ. უნდა ვიცოდეთ, რომ აგვისტოში რწყვით ყურძნის შაქრიანობის მატებასთან ერთად, მარცვალი მსხვილდება, მტევანი სრულდება და ამით მოსავლის სიუხვეს ვუწყობთ ხელს. ასე რომ, მევენახეებმა, მელიორატორებმა დღე და ღამე უნდა გააწყონ, სარწყავი სისტემები შეუფერხებლად ამუშაონ.

სართველო საზრუნავია ისიც, რომ ვიდრე ვენახები დაიკრიფება, სამომავლოდაც ვიფიქროთ და ვიშრომოთ — საშემდგომ რჭა ისე აღვზარდოთ, რომ გაისადაც უხვი მოსავალი მოვიწიოთ. ამისათვის მაღალ დონეზე უნდა შევასრულოთ ვენახების ცის გახსნის, ვაზის წვეროს წაწვეტის, რწყვის სამუშაოები. ტრანსპორტი რომ შეუფერხებლად მუშაობდეს, ამისათვის ... [illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე იმსჯელა რესპუბლიკაში თვალსაჩინო პოლიტიკური აგიტაციის დაყენების საქმის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოს პარტიულმა კომიტეტებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, გააძლიერეს თვალსაჩინო აგიტაციისადმი ხელმძღვანელობა, უკეთ იყენებენ მას კონკრეტული სამეურნეო-სამეურნეო და იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტისას. ამასთანავე ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი შეძლო ჩაეყენებინა თვალსაჩინო აგიტაცია სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის სამსახურში. ხშირად თვალსაჩინო აგიტაცია მოწყვეტილია შრომითი კოლექტივების საქმიანობის საჭირბოროტო კონკრეტულ საკითხებს, თავისი შინაარსით არ შეესაბამება მშრომელების, მოსახლეობის გაზრდილ პოლიტიკურ და კულტურულ დონეს, მოკლებულია ჭეროვან ოპერატიულობასა და საგნობრიობას. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში დასახულია ფართო წრის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კიდევ უფრო ამაღლდეს თვალსაჩინო აგიტაციის იდეურ-პოლიტიკური დონე, გაძლიერდეს მისი მამობილიზებელი როლი, გადაიქცეს იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის, 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნის აქტიურ საშუალებად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იმსჯელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს მუშაობის გამოცდილებისა და საწარმო-სამოქალაქო მშენებლობის საბოლოო შედეგების მიღწევის საქმეში მისი როლის და პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. ბიურომ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სამმართველომ გარკვეული დადებითი მუშაობა გასწია.

რესპუბლიკაში ერთიანი შემკვეთის სისტემის შექმნამ შესაძლებლობა მოგვცა კომპლექსურად და კვალიფიციურად გვწყვეტოდა მშენებლობათა დაპროექტების, კომპლექტაციის საკითხები, უფრო ეფექტიანად ვიყენებდეთ კაპიტალურ დაბანდებას. მაგრამ ჯერ კიდევ სრულად არ აგვამოქმედებია ბერკეტები და რეზერვები, რომლებსაც შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ საწარმო-სამოქალაქო მშენებლობის შემდგომ გაუმჯობესებაზე. მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურულ - საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ამოქმედების საგეგმო დავალებათა უცილობელი შესრულება, მთლიანად აითვისოს მათი მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდება, ძირეულად გააუმჯობესოს საბინაო მშენებლობის ხარისხი.

მოისმინა რა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ნ. ბ. ... მეფარიშვილის ინფორმაცია პირუტყვის 1983-1984 წლის ზამთრობის შედეგების შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიულ კომიტეტებს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაავალა ყველაფერი იღონონ, რათა დროულად დამთავრდეს მოსამზადებელი სამუშაოები პირუტყვის მომავალი ზამთრობის ორგანიზებული მოწყობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება, რომ 1984 წლის აგვისტო-ნოემბერში მოეწყოს პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების, პარტიული ჯგუფების ანგარიშგება-არჩევნები. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ ანგარიშგება-არჩევნები გაიმართოს მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. პარტიული ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის საქმიანი და პრინციპული განხილვის ატმოსფეროში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის, 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებების, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების თანამიმდევრული განხორციელების სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების ნიშნით.

მიღებულია დადგენილება პარტიის, ომის, შრომის, კომკავშირული და პიონერული მოძრაობის ვეტერანებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ვეტერანებთან მუშაობის შემდგომ სრულყოფას, რესპუბლიკის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი როლის ამაღლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საქმთავარმწყალმშენის ტრესტ „კოლხეთმშენის" მმართველის ამხ. ბ. ი. ინასარიძის ინფორმაცია მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად დაშრობილი ფართობების გადაცემის მიმდინარეობის შესახებ. ტრესტ „კოლხეთმშენის" ხელმძღვანელობას დაევალა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას არსებული ჩამორჩენა, შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს საქვეუწყებო სამშენებლო ქვეგანაყოფების პასუხისმგებლობა საგეგმო დავალებათა შესრულებისა და მუშაობის ხარისხისათვის. პარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, საქართველოს კომპარტიის კოლხეთის ზონის რაიკომებს, საქმთავარმწყალმშენის ხელმძღვანელობას, საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს რიგი მიეცათ გააძლიერონ კონტროლი სახელმწიფო დავალებათა რეალიზაციისადმი, მიიღონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ დაშრობილი მიწების დროული გადაცემა მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად.

სამდივნოს სხდომაზე მოისმინეს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის ამხ. ვ. ტ. გოგოლაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის 13 ივლისის დადგენილება „ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის შეფობის გასაგრძელებლად „საქბამმშენის" კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ინიციატივის შესახებ".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელი რიგი სხვა საკითხები.

1. ბალახს თიბავენ მთიბავები!..

ფოტოოჩერკიდან მატილდას მთის რაჭაში გადაღებულ

ფოტოოპიექტივმა მატილდან მთის რაჭაში გადაღება...

უმეტესად მუშაობის პროცესში ვეწვიეთ ამბროლაურის რაიონის ხოტევ სოფლის კოლმეურნეებს, რომლებიც ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წერილს პირუტყვის მზეკვეთ საკვების მარაგის შექმნის თაობაზე.

დილაუთენია მივშურებ დიდ-პატარა სათიბებისკენ. თიბავენ და... „ცელი კოცის და"... ზვინს ზვინი ემატება! — რაჭველებს, ქვე მეტი ჰირობე, მძიმე-მძიმე ხელს გვეძახიან, მაგრამ არც მოლაღ ასეა. ნახე, რა ზვინები მოვაბინავეთ! — გვეუბნება მხცოვანი კოლმეურნე ანგი გურგენიძე (სურათზე ზემოთ) და თვალებგაბრწყინებული შეჰყურებს წკრიის ბარაქიან სათიბებს.

...საშხროზმ მოატანა (სურათზე ქვემოთ). საცურის წვალეულისკენ მოდიან ხოტეველები; წკრიისელები, ასამხრებენ, დაიხვეწებენ და კვლავ ცელ-ფარცხით მიაშურებენ სათიბს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

შრომის დისციპლინის განმტკიცება, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლება პარტიის რაიკომის განსაკუთრებული საზრუნავია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლათა შესაბამისად სოციალისტური შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, დაკისრებული საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით პარტიის ახალციხის რაიკომის მუშაობის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის ახალციხის რაიკომი გარკვეულ მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით, რის შედეგადაც წელს რაიონში გამოიკვეთა სამუშაო დროის დანაკარგების, გაცდენების რიცხვის, კადრების დენადობის შემცირების ტენდენცია. მიმდინარე წლის ექვსი თვის საგეგმო დავალებანი ძირითადად შესრულებულია.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა ახალციხის რაიონში სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის მდგომარეობის გამო, აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომი, მისი ბიურო, რაიაღმასკომი საკმაოდ ეფექტიან ბრძოლას არ ეწევიან დისციპლინის სხვადასხვაგვარი დარღვევების წინააღმდეგ. პარტიის რაიკომი ღრმად არ სწვდება მიმდინარე პროცესებს და საერთო მაჩვენებლების მიღმა ვერ ამჩნევს ადგილებზე საქმის ნამდვილ ვითარებას, გატაცებულია განხორციელებულ ღონისძიებათა, განსახილველ საკითხთა რაოდენობით, შესაბამის ყურადღებას არ უთმობს მათ შედეგიანობას, რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ მაჩვენებლის მიღწევაზე გავლენის ანალიზს.

ამის შედეგად რაიონის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოცდენებისა და სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო სამუშაო დროის დანაკარგები ჯერ კიდევ დიდია. 1983 წელს მათ 1700 კაცდღე შეადგინეს, რაც ერთიორად აღემატება 1982 წლის მაჩვენებელს. მრეწველობაში კადრების დენადობის დონე აღწევს 27 პროცენტს, მშენებლობაში — 58 პროცენტს, რაც აღემატება საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს. დიდია კადრების ცვლა სამეურნეო ხელმძღვანელთა შორისაც. ბოლო სამ წელიწადში შეიცვალა კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა 75 პროცენტი.

წარმოების არარიტმულობის, შრომის დაბალი ორგანიზაციის გამო 1983 წელს ზეგანაკვეთურად ნამუშევარია 95,4 ათასი კაცსაათი. მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში დაბალია შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონე, კოლმეურნეთა 17,3 პროცენტი ვერ ასრულებს სავალდებულო შრომით მინიმუმს, 2,4 პროცენტი კი საერთოდ თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

რაიონში ფართოდ ვერ გავრცელდა ბრიგადული სამეურნეო ანგარიში და შრომის ანაზღაურება შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით, ბრიგადების მხოლოდ 18 პროცენტი მუშაობს საბოლოო შედეგების მიხედვით შრომის ანაზღაურებით, 7 პროცენტი იყენებს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს, 1,4 პროცენტი — სამეურნეო ანგარიშის მაჩვენებლებს.

სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის პარტიის რაიკომის მუშაობის ეფექტიანობაზე უარყოფითად გავლენას ახდენს ხელმძღვანელი კადრების შერჩევაში, განაწილებაში, მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებების შესწავლაში არსებული ხარვეზები. მაგალითად, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებისა და მუშაობაში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის თანამდებობიდან განთავისუფლებულია პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ს. მიქუტიშვილი. სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა მუშაობაში რაიკომის ყოფილ მეორე მდივანს ც. ლაფაჩს.

პარტიის რაიკომი, რაიაღმასკომი, აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მუშაკებში მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინის ჩამოყალიბებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ შეურიგებელი დამოკიდებულების ჩანერგვას.

პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები, პასუხისმგებელი მუშაკები აქტიურად არ ეუფლებიან მუშაობის თანამედროვე მეთოდებს. არ იზრდებიან როგორც ხელმძღვანელები, ავლენენ თვითდამშვიდებას, ზოგიერთ მათგანს კი ახასიათებს სიჭარბის ელემენტები საკითხების გადაწყვეტის დროს, არასაკმარისი სიღრმე და დაკვირვება მუშაობაში.

მიმდინარე ხუთწლედში საზოგადოებრივ მეურნეობათა უმრავლესობა ვერ ასრულებს ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს, რაიონში არ მზადდება სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმი, თუმცა საატესტაციო პროდუქციის წილი საერთო მოცულობაში დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს.

ზარალისა და მომწოდებლებისადმი საწარმოებისა და ორგანიზაციების ვადაგადაცილებული დავალიანება ბოლო წლებში მატულობს და მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის 8,4 მილიონი მანეთი შეადგინა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არასაკმარისად ცნო პარტიის ახალციხის რაიკომის მუშაობა (პირველი მდივანი დ. ი. კორტიაშვილი) სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და დაკისრებული საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის, აღინიშნა აგრეთვე ამ მიმართულებით ახალციხის რაიაღმასკომის (თავმჯდომარე დ. მ. მაკარიძე), რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების (თავმჯდომარე ე. ი. ხითარიშვილი) სუსტი მუშაობა; მოსთხოვა პარტიის რაიკომის ბიუროს აღმოფხვრას მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, ძირფესვიანად გარდაქმნას დისციპლინის განმტკიცებისათვის თავისი საქმიანობა. აქტიურად ჩააბას მასში ყველა პირველადი პარტორგანიზაცია, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა საგულდაგულოდ გააანალიზონ სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მიმდინარე მუშაობა, ის, თუ როგორ სრულდება ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციის მიზნით შემუშავებული ღონისძიებანი, მოსთხოვა ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგიანობას, მათ გავლენას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებსა და ცალკეული შრომითი კოლექტივების საქმიანობაზე, სამუშაო ადგილას მაღალი ორგანიზებულობისა და წესრიგის უზრუნველყოფისათვის კადრების, თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას. (საქინფორმი).

მიფრინავს „კოსმოს-1588"

1984 წლის 8 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1588".

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

სამეცნიერო აპარატურის გარდა, თანამგზავრზე არის: ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის განკუთვნილი რადიოსისტემა, დედამიწაზე ტელესწყვეტისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მონაცემების გადმოცემის რადიოტელემეტრიული სისტემა.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: რაიკომი და პირველადი ორგანიზაციები

განვითარებული სოციალიზმის მამლინარე ეტაპზე სულ უფრო იზრდება პარტიის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლის მნიშვნელობა.

დღეს პარტიული ორგანიზაციები კარგად უნდა ხედავდნენ ყოველივეს, რაც აფერხებს შრომ...

მცირერიცხოვანი სუსტს როდი ნიშნავს

მელიორაცია და მოსავალი

როგორ იყენებენ წყალს ადიგენში

წითელწყაროს რაიონის მეცხოველეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არიან ქ. წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეები. დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც შრომის ვეტერანი ფირუზ ხარაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებმა განვლილ 6 თვეში 105,5 ტონის ნაცვლად 128 ტონა და 825 კილოგრამი რძე მიიღეს. მოწინავეთა შორისაა კომკავშირელი მწველავი მაყვალა წიკლაური. მაყვალამ გამოცდილი 28 ძროხაზე განვლილ შვიდ თვეში 38 ტონა და 42 კილოგრამი რძე მიიღო, რითაც ვალდებულება გადაჭარბა.

● ●

სურათზე: მოწინავე მწველავი მაყვალა წიკლაური.

ვ. ბენზიურის ფოტო.

ზ. მაისურაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

რატომ დათმო გაერთიანებამ პოზიციები?

მკითხველის საფოსტო ფიქრით

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა 1970 წლიდან მოყოლებული 1979 წლის პირველ-მეორე კვარტალების ჩათვლით სოციალისტურ შეჯიბრებაში 35-ჯერ გაიმარჯვა. ეს საყურადღებო, შესამჩნევი მაღალი შრომითი მიღწევები სათანადოდ დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. ჩვენს კოლექტივს სხვა მოწინავე საწარმოთა შორის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დი...

დელი და დამრიგებელი უნდა დახვდეს და ასწავლოს?

პირადად მე, როგორც სპეციალისტი და მოქალაქე, კითხვის წინაშე გავიხარდე. განვლო გზა დაწყების მეშიდან განყოფილების უფროსობამდე და დღეს აქ შექმნილი მძიმე მდგომარეობა მე, კომუნისტს და სპეციალისტს, არ შეიძლება გულს არ მტკენდეს, არ მაღელვებდეს.

ჩემი მუშაობის პერიოდში რვა თაობის ხელმძღვანელობა შეიც...

...წლიდან მთხ უფროსი შეიცვალა. აქედან ერთი არასპეციალისტით.

საამქროს უფროსები ამავე წარმოების პირველ და მეორე საქსოვ საამქროებშიც შეიცვალა. მესამე საქსოვი საამქროს უფროსი თავისი პრინციპულობისა და სამართლიანი მომთხოვნელობისათვის აიძულა განცხადება დაეწერა და წავიდა, მაგრამ საამქროში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო იძულებული გახდა ისევ დაბრუნებინა.

სართ-სართავი წარმოება 53 ტონამდე ნატურალური აბრეშუმის ძაფს უშვებდა. აქაც შეცვალეს ძველი, გამოცდილი წარმოების უფროსი. ახლა გეგმა 48 ტონამდე შეუმცირეს, მაგრამ 43 ტონა ძლივს გამოუშვა. კვლავ შეცვალეს წარმოების უფროსი და გეგმა 44 ტონამდე შეუმცირეს. ყოველდღიური მუშაობის შედეგები გვიჩვენებს, რომ ვერც ამ შემცირებულ გეგმას შეასრულებს კოლექტივი.

ასეთი მდგომარეობის გამო სამუშაო დატოვა სამღებრო-სავამომყვანო წარმოების უფროსმა და სხვა სამუშაოზე გადავიდა. შეიცვალა დირექტორის მოადგილე მომარაგება-გასაღების დარგში.

...ფილების უფროსი ლ. სოფრომაძე, საამქროს უფროსები — ჯ. კვერნაძე, დ. გვარაკიძე, გ. კახიძე, ტექნოლოგები თ. მერკვილაძე, მ. მაჩაიძე, გ. გაბუნია და სხვები. მართალია ახალგაზრდობა მოდის, მაგრამ მათ ხომ ადგილზე ადმზრ...

...ლი ფაქტორის გათვალისწინებით კოლექტივის აქტივი დაასკვნის: მუდმივი მრეწველობის სამინისტრომ ვერ გაგვიწია სათანადო კვალიფიციური ხელმძღვანელობა და ამან განაპირობა ჩვენი სახელოვანი შრომისმოყვარე კოლექტივის დღევანდელი ესოდენი დიდი და სამარცხვინო ჩამორჩენა.

უ. მამარდაშვილი,
ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ტექნიკური განყოფილების უფროსი.

მეტი ყურადღება მნიშვნელოვან სამეურნეო კამპანიას

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

რესპუბლიკის ბევრმა მეურნეობამ უკვე დაამთავრა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, მაგრამ რაიონების მიერ კომბინირებულ საკვებზე გადასაცვლელად სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების დავალება არადამაკმაყო...

შრომითი სემესტრი

სწავლა და შრომა მხარს უმშვენებენ ერთმანეთს

ზაფხულის შრომით სემესტრში მუშაობისათვის ყმაწვილებმა თავიანთ ცხოვრებაში პირველი ხელფასი მიიღეს. თანხა ალბათ არც ისე დიდია, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ მოსწავლეები ეზიარნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

წელს 180 ათასზე მეტი მოზარდი შრომობდა ვენახებსა და ფე...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ზოგავენ... ვაგონებს

ვებრძოლოთ ბრაკონიერს — ბუნების მტერს

პარტია და მთავრობა შეუნელებელ მზრუნველობას იჩენენ ბუნების დაცვის მიმართ. ბოლო წლებში რესპუბლიკაში გატარებული არაერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება მიმართულია იქეთკენ, რომ ჯეროვნად დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, გამოინახოს მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, რათა არ შენელდეს საერთო ყურადღება ამ მეტად საჭირბოროტო საქმის მოსაწესრიგებლად.

ზემოთ აღნიშნული მოტივებით იყო სწორედ ნაკარნახევი რესპუბლიკაში ბუნების დაცვის, ხოლო მოგვიანებით — თევზის მარაგის დაცვის რაიონული და სარაიონთაშორისო ინსპექციების შექმნა. მოგითხრობთ ერთ-ერთი მათგანის, მესხეთის რაიონული სახელმწიფო ინსპექციის საქმიანობაზე.

„საქმთავრთევზმშენის" თევზის მარაგის დაცვის მესხეთის რაიონული სახელმწიფო ინსპექცია შარშანწინ ნოემბრიდან არსებობს. პირველ ხანებში მის მიერ გაწეული მუშაობა არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა.

ბრაკონიერები მტაცებლურად სპობდნენ თევზის რესურსებს მდინარეებსა და წყალსატევებში, ცალკეული მოქალაქეები არღვევდნენ თევზჭერის წესებს. ხმარობდნენ ასაფეთქებელ და მომწამვლელ ნივთიერებებს და სხვა, მაგრამ ინსპექცია გულგრილობას იჩენდა. ყოველივე ამისათვის მესხეთის თევზდაცვის ინსპექცია გაკრიტიკებული იყო შარშან გაზეთ „კომუნისტის" 3 მარტის ნომრის მოწინავე წერილში. იმავე მარტი- [illegible]

[illegible] სი, სკკპ წევრი ი. ღარიბაძე, ინჟინერ-მექანიზატორი ო. ნოზაძე და მექანიკოსი მ. ბალოიანი, რომელთაც ტრაქტორში უპოვეს გადამალული ხრამულის ჯიშის 50 თევზი და ბადეები. თევზისა და ზარალის საფასურად თითოეული მათგანი 59 მანეთით დაჯარიმდა, მაგრამ წარმოების ხელმძღვანელებს მათ მიმართ არავითარი ზომები არ მიუღიათ.

ამავე სამეურნეოს ხელმძღვანელ მუშაკთა დაუდევრობით ფერმა სერიოზული დარღვევა მოხდა. გაუფრთხილებლობას ადამიანი შეეწირა.

ასევე აწყურის საბჭოთა მეურნეობის მძღოლი, კომკავშირელი ლ. ჭებაძე თევზის უკანონო ჭერისა და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო 161 მანეთით დაჯარიმდა, საყუნეთელი დროებით უმუშევარი, კომკავშირელი ი. ლომიძე — 145, ხოლო ახალციხის ხორცკომბინატის ცეხლფეროში, ზიკილელი ე. გოგოლაძე — 125 მანეთით. სხვადასხვა ფულადი თანხით დაჯარიმდნენ, აგრეთვე, ბრაკონიერები ახალქალაქის რაიონიდან — ა. ამირბეკიანი, მ. ნახატაკიანი, ა. აკოფიანი, ე. შირინიანი, ლ. გრიგორიანი, ა. ეფრიკიანი და სხვები.

წელს ინსპექციამ სულ ჯარიმის სახით 57 პირს დააკისრა 1195 მანეთის, ხოლო ზარალის ანაზღაურების სახით — 748 მანეთის გადახდა. 34 პირმა უკვე შეიტანა 985 მანეთი ჯარიმა, ხოლო 18 პირმა 582 მანეთი ზარალი აანაზღაურა.

თავგასულთა მიმართ ინსპექ- [illegible]

თ. ბუჩუკური.

ახალციხე.

დაე მტკიცდებოდეს მეგობრობა

[illegible]

დაჯილდოება

[illegible]

8 აგვისტო

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საქტასი იუწყება

● კონგო

პლენუმის შედეგები

ბრაზავილი. ახლახან აქ გამართულ კონგოს შრომის პარტიის III ყრილობაზე არჩეული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა რიგგარეშე პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. პლენუმზე შექმნეს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — ცენტრალური კომიტეტი და მისი ხამდივნო, დანიშნეს რესპუბლიკის ყველა ოლქის პოლიტკომისრები.

პლენუმის მუშაობის შედეგების შესახებ საბოლოო კომუნიკეში ნათქვამია, რომ კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დანიშნეს ანჟ-ედუარდ პუნგი, საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარედ — ლეი-სილვენ გომა.

დოკუმენტში აღნიშნულია აგრეთვე, რომ რესპუბლიკის ეროვნული სახალხო კრების, ოლქების, საქალაქო კომუნებისა და რაიონების სახალხო კრებების არჩევნები გაიმართება მიმდინარე წლის 23 სექტემბერს.

როგორც ხაზგასმით არის აღნიშნული რადიოსადგურ „კონგოს რევოლუციის ხმის" კომენტარში, რევოლუციის ახლანდელი ეტაპი ქვეყანაში აღინიშნა კონგოს შრომის პარტიის გარშემო კონგოელი ხალხის შემდგომი შეკავშირებით, მისი ეროვნული ერთიანობის განმტკიცებით.

● მექსიკა

მოსახლეობის საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენცია

მეხიკო. აქ გაიხსნა მოსახლეობის საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ 150-ზე მეტი ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაციები, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ფორუმის მონაწილეებმა უნდა განიხილონ პლანეტის მოსახლეობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, აგრეთვე 10 წლის წინათ მიღებული ამ დარგში მოქმედების პირველი მსოფლიო გეგმის განხორციელების შედეგები.

კონფერენციის გახსნისას, მექსიკის პრეზიდენტმა მიგელ დე ლა მადრიდმა გამოთქვა რწმენა, რომ მას დიდი მნიშვნელობა ექნება კაცობრიობის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრისათვის.

პრეზიდენტმა მოუწოდა საერთაშორისო გაერთიანებას უფრო მეტი ენერგიით იბრძოლოს, რათა განამტკიცოს ქვეყნად მშვიდობა, აღმოფხვრას ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, შეინელოს გამალებული შეიარაღება, გააფართოოს საერთაშორისო თანამშრომლობა, იბრძოლოს ქვეყნად ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობისათვის.

ფორუმზე დიდი ყურადღებით მოისმინეს კონფერენციის მონაწილეებისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება, რომელიც საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა წაიკითხა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ნათქვამია მისალმებაში, იმედს გამოთქვამს, რომ კონფერენციის მუშაობა ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებას, ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნებს, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფას.

დღეს კაცობრიობის წინაშე მწვავედ დგას სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური ხასიათის გლობალური პრობლემები, რომელთა პრაქტიკული გადაწყვეტა მოითხოვს მსოფლიოში არსებული მთელი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების გამოყენებას. მაგრამ რეაქციის ძალები, რომლებიც ხელს უშლიან ამას, ახორციელებენ ხალხებისა და მთელი კონტინენტების ჩამორჩენილობის შენარჩუნების, სახელმწიფოთა გათიშვისა და ერთმანეთისადმი დაპირისპირების, საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების ხაზს.

ახალი ეტაპი გამალებული შეიარაღებისა, რომელიც თავს მოგვახვიეს აგრესიულმა იმპერიალისტურმა წრეებმა, სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება მსოფლიოს ხალხებს, იწვევს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დეფორმაციისა და არასტაბილურობის გაძლიერებას, უარესებს სამართლიან და დემოკრატიულ საწყისებზე მისი გარდაქმნის პერსპექტივებს, ზემოქმედებს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში, დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობაზე.

ამ პირობებში მთელი პროგრესული კაცობრიობა ისწრაფვის შეინარჩუნოს და განამტკიცოს მშვიდობა, თავიდან აიცილოს ახლანდელ და მომავალ თაობებს ომის საშინელებანი და უბედურებანი. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მთავარია სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების ავტორიტეტი გამოიყენონ ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის, ყველა ადამიანის ძირითადი უფლების — სიცოცხლის უფლების პატივისცემისათვის.

ამერიკის ნამდვილი სახე

სკანდალი „იუბილე" და პრეზიდენტის გარემოცვა

[illegible]

ფოტორეპორტაჟი

ლოს-ანჯელესის კონტრასტები

[illegible]

დახოცეს კანის ფერისათვის

[illegible]

● გფრ

ღია წერილი ბუნდესტაგს

ბონი. მეტისმეტად დიდი ცინიზმია ის ფაქტი, როცა ოფიციალური ბონი „გლოვობს" ხიროსიმისა და ნაგასაკის მსხვერპლთა გამო და ამავე დროს კიდევ უფრო ზრდის მზადობის საქმისათვის ხაზიზ გამალებულ შეიარაღებას, ემზადება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს გიგანტური მოგების მიღებაში, ნათქვამია ღია წერილში, რომელიც „მწვანეთა" პარტიის ფრაქციამ გაუგზავნა ბუნდესტაგში დასავლეთ გერმანიის სამხედრო უწყების შეფს მანფრედ ვერნერს.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ხაზგასმულია დოკუმენტში, უნდა შეწყვიტოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო თანამშრომლობა, რომელიც, კერძოდ, იმით გამოიხატება, რომ ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობა მთლიანად უჭერს მხარს სსრ კავშირის ტერიტორიაზე „ღრმა დარტყმის" ამერიკულ დოქტრინას, რომელსაც აშკარად აგრესიული ხასიათი აქვს. იგი ითვალისწინებს ბირთვული, ქიმიური და ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებას.

„მწვანეებმა" ვერნერს ბრალად დასდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევა, რადგან მისი უშუალო მითითებით დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის ჯარებს წვრთნიან სამხედრო მოქმედების წარმოების ამერიკულ ბრიგადებთან ერთად ამ უზადალებული დოქტრინის საფუძველზე. [illegible] პარტია, განაცხადეს მათ, კვლავაც გაილაშქრებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეგრეთ წოდებული თავდაცვითი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მთლიანად ამერიკის ინტერესებს ექვემდებარება.

● უგანდა

გააძევეს ქვეყნიდან

კამპალა. უგანდის რესპუბლიკის მთავრობამ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა შეერთებული შტატების სამხედრო ატაშე ამ ქვეყანაში პოლკოვნიკი ბეიკერი. ამავე დროს გაუქმდა შეთანხმება სამხედრო დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის თაობაზე. კერძოდ, ეს ეხება უგანდის შეიარაღებული პერსონალის მომზადებას ოკეანისგაღმელი სპეციალისტების მიერ.

მთავრობამ ეს ნაბიჯი გადადგა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირნი მრავალგზის ერეოდნენ უგანდის საშინაო საქმეებში და ამახინჯებდნენ ფაქტებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

პრესა კომენტარებს

ბინძური პროვოკაცია

რომი. გაზეთმა „რეპუბლიკამ" აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა ბულგარეთის ავიაკომპანიის წარმომადგენლის ს. ანტონოვის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, რითაც ცდილობენ იგი წარმოადგინონ რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურზე თავდასხმის „მონაწილედ". იგი წერს, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქის წინააღმდეგ თურქი ფაშისტის ალი აღჯას მონაჩმობა, მბიბლებმა დაადგინეს, აღნიშნავს გაზეთი, რომ ცნობარი მას გადასცა ციხის თარჯიმანმა.

„რეპუბლიკის" აზრით, [illegible]

მეგობრული საუბარი

[illegible]

ვუპასუხებთ მკითხველებს

ორად გაყოფილი კუნძული

[illegible]

უკანასკნელ საათს

[illegible]

კიდევ ორი გმირი

თის ფრონტზე გაიგზავნა. სწორედ ამ ნაწილში მსახურობდნენ მ. კობზუნიც და ა. ლუძეცკიც. ამ ნაწილის ყოფილი კომისარი, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ს. კისილიოვი იგონებს. „მ. ი. კობზუნმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც მეტისმეტად თავმდაბალმა, თლეტურმა და უაღრესად გაბედულმა მებრძოლმა. ასევე ა. გ. ლუძეცკიმაც — ცხოვრებაში დინჯმა, მაგრამ ბრძოლაში გაბედულმა ვაჟკაცმა. ორივე შესანიშნავი სპორტსმენი და სროლაში პრიზიორი იყო".

1940 წლის იანვარი — მკაცრი, თოვლიანი ზამთარი იდგა. მტერმა ისარგებლა ადგილმდებარეობით, მათი ცილკუღლი ჭეგვანაყოფები ჩვენს ჩეკისტებს ღრმა ზურგში მოექცნენ და თავს ესხმოდნენ. ამიტომ საჭირო შეიქნა ბრძოლის ტაქტიკის შეცვლა. ნაწილის მეთაურობამ ლეიტენანტ მ. კობზუნის ოცეულს უბრძანა დაეზვერა მტრის ძალები ლუტიეს ტბასა და ხუტორის მიდამო...

კას", ასხლტა, მეთაურს გულის არეში მოხვდა და გამერიტა პარტბილეთი, ტყვიამფრქვევიც დაზიანდა. დაჭრილმა მეთაურმა ჭრილობა შეიხვია, ხელდახელ შეაკეთა დაზიანებული ტყვიამფრქვევი და სროლა განაგრძო. რას წარმოიდგენდა, რომ ეს ტყვიამფრქვევი ომის შემდეგ, როგორც ამ ბრძოლების უტყვი მოწმე, მუზეუმში დაიდებდა ბინას.

ბრძოლა ალყაში 46 დღეს გაგრძელდა. შემდეგ კი ორ ჭვეყანას შორის ზავი დაიდო და ბრძოლებიც შეწყდა. თეთრფინელებთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ლეიტენანტ მიხეილ ივანეს ძე კობზუნს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მკურნალობის შემდეგ დაბრუნდა თბილისში და სამსახური თავის სამხედრო ნაწილში დაიწყო. იგი სპორტსაზოგადოება „დინამოს" პრიზიორი გახდა ტყვიით სროლაში.

1941 წლის დამდეგს ი. კობზუნი მოსკოვში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სკოლაში...

ხელსაწყოს" საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობს პროექტების მთავარ კონსტრუქტორად, ხოლო შვილიშვილი ანატოლი პაპის კვალს გაჰყვა და ამთავრებს თბილისის საარტილერიო სასწავლებელს.

მეორე სპორტსმენი ანდრია გაბრიელის ძე ლუძეცკი ორი წლისა იყო, 1925 წელს თბილისში რომ გადმოვიდა საცხოვრებლად. კომკავშირელმა ჭაბუკმა სპორტსაზოგადოება „დინამოში" დაიწყო საქმიანობა, მძლეოსნობასა და სროლაში წვრთნიდა ახალგაზრდებს. 1927 წელს ა. ლუძეცკი ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების შემადგენლობაშია, მალე კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. ფინეთის ომში იგი მეტყვიამფრქვევეთა ასეულს მეთაურობდა. მალე მეთაური მებრძოლებისათვის მამაცობისა და მეთაურობის ნიმუშად იქცა. მას ნაწილში დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ, როგორც შესანიშნავ მოთხილამურესა და სნაიპერს, სარდლობა...

ვიხაც მოსკოვში სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების მუზეუმი...

2. ბალახს თიბავენ მთიბავები!..

თივის დამზადება ხომ საყოველთაო ლაშქრობაა არის გამოცხადებული რესპუბლიკაში! ამიტომაც აიღო ხელში ფოცხი თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მეოთხეკლასელმა თათა კუკუიძემ. ჭერ არ იყოს ამბროლაურელებს ხომ ერთი ასეთი ტრადიციაც გვაქვს: ვისაც ცელის აღება შეუძლია, სოფლის საზრუნავი უნდა გაიზიაროს, თიბვაში შეეშველოს მთიბავებს, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. კოპაძიძე.

— ბებოსთან ჩამოვედი დასასვენებლად, მაგრამ ჩემი ტოლები დილიდანვე სათიბში ტრიალებენ და მეც გული არ მითმენსო, — ამბობს გოგონა.

მალე სექტემბერი მოვა. აწკრიალდება პირველი ზარი. თათაც ხალისით მოუყვება თანაკლასელებს სოფელში გატარებულ არდადეგებზე.

და ეს იქნება შეულამაზებელი, ნამდვილი ამბავი.

...არის ეს ეტიუდი გვგონით ხელოვნური (სურათზე ქვემოთ): ისვენებენ მთიბავები. „ისვენებენ" ცელებიც, და დოქიც „კვირიხალის წყაროს" წყლითაა სავსე.

ცოტაც და, კვლავ მობრუნდებიან მთიბავები. აიღებენ ცელებს და დოქიც სათიბისაკენ გაჰყვება ხელს...

ასეთია ხოტევის კოლმეურნეობის ჩვეულებრივი შრომითი დღე. და ფოტოობიექტივმაც ამგვარად „დაინახა" იგი.

სიმონ კილაძის ფოტორეპორტაჟი.

ყაბახი
ზაფხულის ოლიმპიადა

ლონდონის ... ოლიმპიადა ... მაღალიმდელე ... ფავორიტები, ეს არც არის უკანასკნელ... მეტყეობენ ... ის ... ავსტრალიის ... სპორტსმენთა და ... უძლიერესი ათლეტები არ გამოდიან. მიუხედავად ამისა, ...

ნანა ბოტკოველი: ლენინგრადის ვერნისაჟი

მოვიდა... სასადილო

ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო

მშობლიურ ჰანგთა საგანძური

ნებაა წარმოდგენილი და ყმაწვილი ამით მშობლიური ჰანგების „მუსიკალურ გეოგრაფიას" ეცნობა. სიმღერები სამემსრულებლო სირთულის მიხედვით ლაგდება დალაგებული, რაც პედაგოგიკური თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია. ამასთან, ბავშვთა გუნდების სპეციფიკის გათვალისწინებით შერჩეულია მცირე ასაკის შემსრულებელთათვის მოსახერხებელი რეგისტრი, დიაპაზონი და ტონალობები.

მისასალმებელია, რომ მრავალ სიმღერას დართული აქვს ინსტრუმენტული თანხლების ...

... ავტორთა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი), ხალხური ტექსტებიც ასევე უნდა იყოს მითითებული. ვფიქრობთ, არც აზრი არ უნდა არსებობდეს ბავშვთა უმრავლესობისათვის გაუგებარი ტექსტების პოეტური თარგმანის ან შინაარსის განმარტების აუცილებლობაზე. კარგი იქნება, თუ მომავალში ავტორი ყოველი სიმღერის ჟანრობრივი ხასიათისა და მისი ისტორიული დანიშნულების განმარტებასაც გაითვალისწინებს. მოსწავლე ახალგაზრდობას და, უწინარესად, შემსრულებლებს უთუოდ დააინტერესებდათ, თუ რასთან დაკავშირებით სრულდებოდა ჩვენში „ნადური" ან „საბოდიშო", „მაყრული" ან „მაყშალია", „შენ ხარ ვენახი" და სხვა. ურიგო არ იქნებოდა სიმღერების კილოს აღნიშვნა, რამდენადაც კრებულში წმინდა ხალხურ, თავისთავად სიმღერებთან ერთად მოთავსებულია ევროპულ ჰარმონიულ საფუძველზე აგებული ქალაქური სიმღერებიც. მათ თავისებურებებში გარკვევა კი მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა ნორჩ შემსრულებლებს სიმღერების ნაირფეროვან სტილისტიკაში გარკვევა-ათვისებაში.

ამ საქმის დიდ ენთუზიასტს დ. ...

... რო საქმედ მიგვაჩნია, ამ ბოლო წლებში ცალკეულ ენთუზიასტ-მოღვაწეთა თაოსნობით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, კულტურის სახლებსა და კლუბებთან ხალხური სიმღერის ანსა-...

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-81, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის პროპაგანდის — 93-22-95, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — ...

საკორესპონდენტო პუნქტები:

... — 2-22-59; ქუთაისი — 5-26-86; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-68-15; ზუგდიდი — 5-58-69; მახარაძე — 6-84-44; ზესტაფონი — 5-56-96; თელავი — 3-12-09; ჭიათურა — 28-66; ბათუმი — 25-82.

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

როცა დისციპლინა მოიკოჭლებს

ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია წვრილი ავტომეურნეობები, სადაც სათანადო დისციპლინა სათანადო სიმაღლეზე არ დგას, მძღოლები დაწესებულების ხელმძღვანელთა უკონტროლობის გამო და ზოგჯერ ხელშეწყობითაც კი სახელმწიფო ტრანსპორტს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ, ამის თაობაზე ხშირად იწერება პრესაში, სპეციალურ გადაცემებს უძღვნიან ტელევიზიითა და რადიოთი, მაგრამ მძღოლები მაინც თავიანთ ...

სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს სატვირთო ავტომანქანა დაეჯახა თბილისის № 3 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტობუსს. ავტოავარიის შედეგად ავტობუსის მძღოლი და ერთი მგზავრი გარდაიცვალნენ, ...

მოლაპარაკებული თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ვაშლოვანში მცხოვრებ სოხბიშვილთან, რომ მოსკოვის პროსპექტზე მდებარე საყოფაცხოვრებო მომსახურების ბაზიდან სამშენებლო მასალას ჩატვირთავდა, ვაშლოვანისაკენ გასწევდა. ...

რებას. შემოწმებული ხუთი ავტომობილიდან ოთხი ტექნიკურად გაუმართავი აღმოჩნდა, ტრანსპორტს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ. იმ დღეს, როცა მ. ასლამაზოვმა კუმისთან მოახდინა ავტოავარია, მთავარმა მექანიკოსმა გიორგი ქუმბალიასმა საგზურის ფურცელი ყალბად შეავსო, ჩაწერა ამორტიზაციის ქვითრის ნომერი, რომელიც ფაქტობრივად არ იყო განაღდებული. ასევე მძღოლ მ. ასლამაზოვს არ ჰქონდა „კაზ-608" მარკის კატეგორი-...

ბ. ლილაძე.

საჭადრაკო კალეიდოსკოპი

ჟურნალისტებთან შეხვედრისას ფიდეს პრეზიდენტმა კამპომანესმა ქმაყოფილება გამოთქვა, რომ მისმა ორგანიზაციამ შეძლო მიეღწია დიდი ხნის საწადელისათვის — მოეწყო საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა შეხვედრა ევრო წოდებული „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრებთან.

კამპომანესის აზრით, ამ მატჩს რაიმე მოულოდნელობა არ მოუყოლია. — ანდერსონმა და ტიმანმა დაამტკიცეს, რომ ამ მოვლენისათვის ევროპაში უძლიერესი მოჭადრაკეები ისინი არიან. რობსომ, მაილსმა და ტორემ ასევე დაამტკიცეს, რომ მსოფლიოს ...

... ნა მაღლევამ. აღსანიშნავია, რომ კატერინა 15 წლისაა, მაგრამ 18 წლის სპორტსმენებს არ დაუდგა ტოლი.

რედაქტორი ბ. ბერიძესუ(?)

მოსკოვი

ჩვენს ეკრანებზე

თბილისი

... სიღებე ვიდეოსაზე გაზეთის ... 10.55 — „საკეისი უზლებამოსვლია განახავლის...". IX სერია. 12.05 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „ბელინელ ...". 16.00 — ... 22.00 — „ვრემია". 22.35 — პანორამა. 23.35 — დღეს მსოფლიოში. 23.50 — დოკუმენტური ტელეფილმი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ...

... სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ხუთი საღამო". 16.25 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 19.30 — პ. ჩაიკოვსკის კონცერტი (ვიოლინო). 20.30 — მეტი უკეთესი საქონელი. 21.00 — ...

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო: საეტელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „...". — მხატვრული ფილმი „...". 11.35 —

... არდადეგების გამო: „...". 18.30 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი. 19.05 — „...". გამარჯვების 40 წლისთავისათვის — „შეხვედრა 40 წლის შემდეგ". 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.).

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა და საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ოთარ კარპეს ძე ნიჟარაძე და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.